

კვლავ დამარცხება

მოსკოვი. 1 სექტემბერი. (ტელეფონით).

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში მთელი დღე წვიმდა, ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჩნიკში ფეხბურთის მრავალი მოყვარული მოვიდა. ისინი მოელოდნენ, რომ მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვის “ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” შორის ჩაივლიდა საინტერესო, დამაბულ ბრძოლაში. მით უმეტეს, რომ ეს ორი გუნდი მეტად ახლოს დგას ერთმანეთთან გათამაშების ცხრილში.

მაგრამ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მათი მოლოდინი არ გამართლდა – თბილისელებმა მეტად ცუდად ჩაატარეს მატჩი, ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა ტორპედოელებს და მათი დამარცხება დიდი ანგარიში – 1:5 სავსებით გამოხატავს ძალთა შეფარდებას მინდორზე.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს “დინამოს” დაცვის სუსტი თამაში. მართალია, თბილისელებს აკლდათ ორი ძირითადი მოთამაშე – ძიაპშა (№3) და ხოჭოლავა (№4), რომელთა ადგილები დაიკავეს ჩოხელმა და დავარაშვილმა, რამაც საგრძნობლად შეასუსტა დაცვის საერთო ბრძოლისუნარიანობა, მაგრამ არც სხვა მოთამაშეები იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ნახევარმცველებმა მთლიანად დაუთმეს მინდვრის შუაგული მოწინააღმდეგეს, ვერ შეძლეს კონტაქტის დამყარება თავდასხმასთან. მთელი თამაშის მანძილზე თბილისელთა დაცვაში ადგილი ჰქონდა როგორც ტაქტიკური, ისე ტექნიკური ხასიათის შეცდომებს. განსაკუთრებით უჭირდათ დინამოელებს მოწინააღმდეგის ცენტრალური თავდამსხმელის სტრელცოვის ნეიტრალიზება, რომელიც 90 წუთის განმავლობაში განაგებდა თამაშს სტუმრების კართან.

მაგრამ არც “დინამოს” თავდამსხმელები თამაშობდნენ ამ დღეს უკეთესად (ხასაია, ჭკუასელი, ლოლობერიძე, იამანიძე, მესხი. ეს უკანასკნელი შემდგომში შეცვალა ზაზროშვილმა). ბურთი, როგორც წესი, უმისამართოდ მოძრაობდა მათ შორის, მოსკოველები თითქმის ყოველ პირველ შეტაკებაზე ართმევდნენ ბურთს თბილისელთა ფორვარდებს და მაშინვე იწყებოდა ხანგრძლივი შეტევა სტუმართა კარზე. იშვიათი კონტრიერიშების შემთხვევაში დინამოელები შეჯგუფულად მოქმედებდნენ და რეალურ საფრთხეს მოწინააღმდეგისათვის არ წარმოადგენდნენ.

ორიოდე წუთიც არ იყო გასული თამაშის დაწყებიდან და ფალინმა (№10) გაიტანა პირველი გოლი. კარგა ხნის განმავლობაში ეს ანგარიში უცვლელი იყო. 30-ე წუთზე სტრელცოვმა მეორე ბურთი გაიტანა და ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:0.

შესვენების შემდეგ ფალინის გარღვევა ახალი გოლით დამთავრდა – 3:0. თბილისელებმა სცადეს გარდატეხის შეტანა და იამანიძემ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა – 1:3, მაგრამ ეს გარდატეხა ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე “დინამოს” კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გაიტანა ივანოვმა.

მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. თამაშის დასასრულს ივანოვმა კარგად გამოიყენა “დინამოს” დაცვისა და მეკარე კოტრიკაძის უხეში შეცდომა, გავიდა ცარიელი კარის პირისპირ და გაიტანა მეხუთე ბურთი.

ანგარიშით 5:1 გაიმარჯვა “ტორპედომ”.

ვ. პავლოვი.

“ლელო”, 3 სექტემბერი, 1957 წ.